მონეტარული პოლიტიკა და მისი გავლენა ფინანსურ ინსტიტუტებზე (საქართველოს მაგალითზე)

დეა ჭყოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საბანკო და საფინანსო საქმეში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნიკა მეგუთნიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დეა ჭყოიძე

16.06.2022

აბსტრაქტი

საქართველოს ეროვნული ბანკის როლია, მონეტარული პოლიტიკის გატარებითა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით ინფლაციაზე ისე ზემოქმედება, რომ საშუალოვადიან პერიოდში თარგეთირებული 3%-იანი ინფლაცია და ფასების სტაბილურობა იქნეს მიღწეული. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი რეფინანსირების განაკვეთია, მისი ზრდა კი პირდაპირ გაძვირებულ სესხებს გულისხმობს კერძო ბიზნესისათვის. ასევე, შემოსავალი უმცირდებათ ფინანსურ ინსტიტუტებსაც. ზოგადად, საქართველოში ფინანსური შუამავლების ნაკლებობაა, რაც ერთის მხრივ კარგია, რადგან მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებს აუმჯობესებს, თუმცა მეორე მხირვ ეს ფაქტი ზღუდავს ეკონომიკურ აქტივობებს.

კვლევის ფარგლებში მოძიებული იქნა გარკვეული სტატისტიკური მონაცემები, რათა გამოკვლეულიყო თუ რა ზეგავლენას ახდენს მონეტარული პოლიტიკა ფინანსურ ინსტიტუტებზე, და რამდენად ეფექტიანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკა და თარგეთირებული 3%-იანი ინფლაცია. კვლევა აერთიანებს მონეტარული პოლიტიკის გატარების მექანიზმებს, ფინანსური ინსტიტუტების განვითარების დეტალებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც იძლევა საშუალებას, რომ გაკეთდეს დასკვნები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფასების სტაბილურობაზე მორგებული მონეტარული პოლიტიკა მაქსიმალრუად შეესაბამება ფინასნური სექტორის განვითარების მიზნებს, ხოლო რეფინანსირების განაკვეთის ზრდა, საბოლოო ჯამში არ აყენებს დიდ ზიანს კომერციულ ბანკებს შემოსავლიანობის მხრივ, და ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელიც კია ეგზოგენური შოკების დროს ეროვნული ბანკის ჩარევა ეკონომიკაში.

საძიებო სიტყვები: მონეტარული პოლიტიკა, ფინანსური ინსტიტუტები, ინფლაცია.

Abstract

The role of the National Bank of Georgia is to influence inflation by conducting monetary policy and changing the interest rate in such a way that the targeted 3% inflation and price stability are achieved in the medium term. The mechanism of transmission of monetary policy is the refinancing rate, and its increase directly means more expensive loans for private businesses. Also, the income of financial institutions is decreasing. In general, there is a lack of financial intermediaries in Georgia, which is good on the one hand, because it improves the transmission mechanisms of monetary policy, but on the other hand, this fact limits economic activities.

As part of the research, some statistical data were sought to investigate the impact of monetary policy on financial institutions, and how effective is the monetary policy implemented by the National Bank of Georgia and the targeted inflation of 3%. The study combines the mechanisms of monetary policy, details of the development of financial institutions, and statistical data that allow conclusions to be drawn about the country's economic situation.

As a result of the research, it was determined that the monetary policy adjusted to price stability is maximally consistent with the development goals of the financial sector, and the increase in the refinancing rate does not ultimately cause much damage to commercial banks in terms of profitability, and the intervention of the National Bank in the economy during exogenous shocks is even necessary for economic development.

Search words: monetary policy, financial institutions, inflation.